MES 7 21 0000804313

18/08/2021

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 04.08.2021
სხდომის დაწყების დრო: 15:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 20:00სთ
სხდომის თავმჯდომარე: ნინო იმნაძე (I), დიანა მჭედლიშვილი (II),
საბჭოს თავმჯდომარე: ნათია ზედგენიძე-ჯიშკარიანი (III, IV)
საბჭოს მდივანი: მარიამ შენგელია

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **ნათიაზედგინიძე-ჯიშკარიანი -** სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ნინოი მნაძე -** სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის დეკანი, ამავე ფაკულტეტის შენობა-ნაგებობის არქიტექტურის მიმართულების სრული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სხდომის თავმჯდომარე;
3. **მარიამ შენგელია -** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი - საბჭოს მდივანი;
4. **ნინო ჭალაგანიძე** - შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
5. **ელენე ჟურავლოვა -** სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

6. **გაიოზ ფარცხალაძე -** სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
7. **ელიზბარ ელიზბარაშვილი -** ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საერთო-საუნივერსიტეტო ლაბორატორიული ცენტრის დირექტორი, პროფესორი;
8. **გიორგი ღაღანიძე -** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
9. **დავით კაპანაძე -** სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის უფროსი, პროფესორი;
10. **დიანამ ჭედლიშვილი -** შპს "კავკასიის უნივერსიტეტის" ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;
11. **ეკატერინენაცვლიშვილი -** შპს "ევროპის უნივერსიტეტის" ასოცირებული პროფესორი;
12. **თამარჩხეიძე -** სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ასოცირებული პროფესორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
13. **თეონამატარაძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი;
14. **მაკაკაჭარავა** - სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;
15. **ნინო ინასარიძე** - "CNFA საქართველოს" გარემოს დაცვის მენეჯერი.

საბჭოს მოწვეული წევრები:

თამარ მამსიკაშვილი - სსიპ - ქალაქ თბილისის N186 საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარე;
ქეთევან ბოტკოველი - სსიპ - ქალაქ თბილისის N195 საჯარო სკოლის პედაგოგი, ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტი, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მდივანი.

სხდომაზე დამსწრე პირები
სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	შოთა კეჟერაშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
2	ლალი ოდიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
3	თამარ შენგელია	ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე

აკრედიტაციის ექპერტები

N	სახელი, გვარი	ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ	საკითხი

1	მიხეილ რუხაია	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	მანანა ხაჩიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
3	ვასილ კიკუტაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
4	გაგა ბუიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
5	გიორგი ხაბეიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
6	თამთა ცხოვრებაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II, IV
7	თამარ თავხელიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
8	ლელა ფიცხელაური	(ჩაერთო „ზუმით“)	III
9	ნანა მონიავა	(ჩაერთო „ზუმით“)	III
10	ნინო დოლიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
11	ნიკა გიგაური	(ჩაერთო „ზუმით“)	IV

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა.
საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.
საბჭოს სხდომა დაიწყო: 15:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. შპს კავკასიის უნივერსიტეტის "კომპიუტერული მეცნიერების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "მთიანი რეგიონების ორგანული ფერმერული სისტემების მართვის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს ევროპული სკოლის ამერიკული უმაღლესი სკოლის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემიის „სახელმწიფო რესურსების მართვის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

· არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. შპს კავკასიის უნივერსიტეტის "კომპიუტერული მეცნიერების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "მთიანი რეგიონების ორგანული ფერმერული სისტემების მართვის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

3. შპს ევროპული სკოლის ამერიკული უმაღლესი სკოლის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემიის „სახელმწიფო რესურსების მართვის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

ცენტრის წარმომადგენელმა, თამარ შენგელიამ განაცხადა საბჭოს სხდომაზე, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებული მე-3 საკითხის განხილვაში, რომელიც წარმოადგენდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხს, სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობას მიიღებდნენ ასევე, საბჭოს მოწვეული წევრები, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარე, თამარ მამსიკაშვილი და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მდივანი, ქეთევან ბოტკოველი.

აკრედიტაციის დებულების 27[2]-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნინოიმნაძე.

1. **პირველი საკითხი:** შპს კავკასიის უნივერსიტეტის "კომპიუტერული მეცნიერების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	კომპიუტერული მეცნიერება
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	გადაწყვეტილება N147, 02.07.2019
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ინფორმაციული ტექნოლოგიები
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	კომპიუტერული მეცნიერების ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0613 პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	პაატა სააკაძის N12 საქართველო, თბილისი 0102
15		-

	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადა- დიანა მჭედლიშვილმა
საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან
სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ შპს კავკასიის უნივერსიტეტის მიერ ცენტრში 2021 წლის 8 ივლისის N601-CU-01 (ცენტრში რეგისტრაციის N689601, 08.07.2021) წერილით წარმოდგენილი „კომპიუტერული მეცნიერების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის N69/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის მიზნით განხორციელდა კავკასიის უნივერსიტეტის კომპიურერული მეცნიერებების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიური მონიტორინგი. შესაბამისად შემოწმდა პროგრამის შესაბამისობა პირველ, მეორე და მეოთხე სტანდარტებთან. მონიტორინგი განხორციელდა უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი მასალების შესწავლის საფუძველზე. ექსპერტებს შორის კომპუნიკაცია ხორციელდებოდა zoom პლათფორმის საშუალებით.
„კომპიუტერული მეცნიერება“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შესაბამისობაშია 1, მე-2, და მე-4 სტანდარტებთან
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ინსტიტუციამ სრულიად გაიზიარა ექსპერტთა რეკომენდაციები და შესაბამისად პირველი, მე-2 და მე-4 სტანდარტები სრულიად შესაბამისობაშია.
სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა, დავით კაპანაძემ აღნიშნა, რომ ექსპერტთა დასკვნის მე-5 გვერდზე პროგრამის სახელწოდება არასწორად არის მითითებული, შესაბამისად, უმჯობესია მოხდეს ტექნიკური ხარვეზის გამოსწორება.
სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 15:25
დასრულების დრო: 15:32
სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი შპს კავკასიის უნივერსიტეტის "კომპიუტერული მეცნიერების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის თაობაზე.
კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ გადაწყვიტა **შეწყდეს** შპს კავკასიის უნივერსიტეტის "კომპიუტერული მეცნიერების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოება და მიჩნეულ იქნს, რომ აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამა შესაბამისობაშია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის“
ერთიანი ეროვნულ გამოცდებზე დარეგისტრირებული აბიტურიენტების ინფორმირების მიზნით, საბჭომ აღნიშნული გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განსაზღვრა 2021 წლის 4 აგვისტო.

2. **მეორე საკითხი:** სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "მთიანი რეგიონების ორგანული ფერმერული სისტემების მართვის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მთიანი რეგიონების ორგანული ფერმერული სისტემების მართვა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	პირობით აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	პირობით აკრედიტებული, 20.07.2020, N618305
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-

8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	მენეჯმენტის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	დავით გურამიშვილის გამზირ N17 თბილისი მე-11 კორპუსი 0192 საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ კი

თვითაცილება განაცხადეს - ნინო იმნაძემ, დავით კაპანაძემ, ელიზბარ ელიზბარაშვილმა

საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან

აკრედიტაციის დებულების 27[2]-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას წარუძღვა საბჭოს წევრი დიანა მჭედლიშვილი.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა ონლაინ რეჟიმში ზუმის პლატფორმის გამოყენებით 2021 წლის 20 ივლისს. ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა შეხვედრა, მათ შორის: პროგრამის ხელმძღვანელებთან, სტუდენტებთან, უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, პოტენციურ დამსაქმებლებთან. ვიზიტის მეორე დღეს განხორციელდა დაწესებულების სასწავლო ინფრასტრუქტურის და ბიბლიოთეკის დათვალიერება, გადამოწმდა წიგნების ხელმისაწვდომობა. დაწესებულებამ თავის მხრივ უზრუნველყო მშვიდ აკადემიურ გარემოში ვიზიტის პროცესის განხორციელება

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "მთიანია რეგიონების ორგანული ფერმერული სისტემების მართვის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:

პირველისტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეორესტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მესამესტანდარტი _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეოთხესტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეხუთესტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:
1.რეკომენდებულია შრომის ბაზრის კვლევის სისტემური სრულყოფა, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს კვლევის შედეგების მეტი რელევანტურობის უზრუნველყოფას და დაეხმარება პროგრამას მიზნობრივად მოიზიდოს მეტი სტუდენტი;
2. რეკომენდებულია პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსების სახით შეთავაზებული იქნეს შემდეგი სასწავლო კურსები: მათემატიკა, წერითი და ზეპირი კომუნიკაციები;
3. რეკომენდებულია პროგრამაში სავალდებულო კომპონენტის სახით წარმოდგენილი საწარმოო და საველე პრაქტიკის შერწყმა და ერთიანი პრაქტიკის კომპონეტის სახით წარმოდგენა 5 კრედიტის მოცულობით, ასევე სასწავლო კურსების ,,მწავენე ეკონომიკა“ და ,,ბიოეკონომიკის“ შერწყმა მათი შინაარსიდან გამომდინარე და ერთი 5 კრედიტიანი სასწავლო კურსის სახით წარმოდგენა;
4. რეკომენდებულია სასწავლო კურსის ,,საგადასახადო დაბეგვრის საფუძვლები“ სავალდებულო სასწავლო კურსის სახით წარმოდგენა პროგრამის სტრუქტურაში. ვინაიდან აღნიშნული კურსი არჩევითი კომპონენტის სახით არის პროგრამის სტრუქტურაში წარმოდგენილი, შესაბამისად უნდა მოხდეს მისი სტატუსის ცვლილება და სავალდებულო სახით წარმოდგენა;
5. რეკომენდებულია ,,რესურსების და სტრატეგიული მენეჯმენტის“ სასწავლო კურსის მისი შინაარსის გათვალისწინებით დაყოფა ორი სავალდებულო სასწავლო კურსის სახით: ადამიანური რესურსების მენეჯმენტი და სტრატეგიული მენეჯმენტი;
6. რეკომენდებულია გამოყენებითი ინფორმატიკის საფუძვლები 1 სასწავლო კურსის შინაარსის კორექტირება, კერძოდ შინაარსში საჭიროა MS Office სრულყოფილად წარმოდგენა;
7. რეკომენდებულია სასწავლო კურსის ,,მენეჯმენტის საფუძვლების“ შინაარსის გაძლიერება მოტივაციის საკითხებით, მათ შორის მოტივაციის თეორიების სახით, რათა სრულად მოხდეს სასწავლო კურსის სილაბუსით გაწერილი სწავლის შედეგების მიღწევა;
8. რეკომენდებულია სასწავლო კურსების შინაარსისა და მათში გამოყენებული სავალდებულო ლიტერატურის გათვალისწინებით დაკორექტირდეს შემდეგი სასწავლო კურსების სახელწოდებები ,,დაპროექტება და პროექტის მართვა აგრარულ და ბიოსისტემების ინჟინერიაში“ და ,,აგრობიზნესის მიწოდების ჯაჭვის მდგრადი მართვის საფუძვლები“, როგორც ,,პროექტების მართვა“ და ,,მიწოდების ჯაჭვის მართვა“;
9. რეკომენდებულია გარკვეული სასწავლო კურსების წინაპირობების დაკორექტირება, კერძოდ: სტატისტიკის სასწავლო კურსის წინაპირობად განისაზღვროს მათემატიკის კურსი, რომელიც თავის მხრივ უნდა დაემატოს პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსებს, ასევე უნდა დაკორექტირდეს საბაკალავრო ნაშრომის წინაპირობა, კერძოდ წინაპირობად უნდა განისაზღვროს პროგრამით გათვალისწინებული ყველა სავალდებულო სასწავლო კურსი 7-ე სემესტრის ჩათვლით რადგანაც საბაკალვრო ნაშრომი გათვალისწინებულია მე-8 სემესტრში. გარდა წინაპირობისა ამავე სილაბუსში დასაკორექტირებელია საბაკალავრო ნაშრომის 7 შესრულების ერთერთი ტექნიკური პარამეტრი, კერძოდ ნაშრომის მოცულობის განსაზღვრის ნაწილში, სადაც მითითებულია რომ ,,საბაკალავრო ნაშრომის მოცულობა უნდა შეადგენდეს

არაუმეტეს 20 გვერდისა“, რაც თეორიულად ტოვებს ლეგალურ გზას სტუდენტის მხრიდან წარმოდგენილი იქნეს მაგალითად 5 გვერდიანი ნაშრომი და მოითხოვოს მისი დაცვაზე დაშვება;

10. რეკომენდებულია პროგრამაში არსებული პრაქტიკის კომპონენტების გაერთიანება ერთ პრაქტიკის კომპონენტად და მისი წარმოდგენა სწავლების ბოლო წელს, შესაბამისად სრულყოფილად უნდა იქნეს წარმოდგენილი პრაქტიკაზე დაშვების წინაპირობაც, რომელიც არსებული მოცემულობით არასრულია. საჭიროა წინაპირობად განისაზღვროს პრაქტიკის გავლის მომენტისთვის განსაზღვრული ყველა სავალდებულო სასწავლო კურსების გავლა;

11. რეკომენდებულია უნივერსიტეტმა იზრუნოს პოტენციური პრაქტიკის ობიექტების არეალის გაზრდაზე და გააფორმოს მათთან შესაბამისი თანამშრომლობის მემორანდუმები;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს კონსტრუქციული ვიზიტისთვის და აღნიშნა, რომ ინსტიტუცია იზიარებს ექსპერტთა რეკომენდაციებს. პროგრამის ანალოგი საქართველოს სხვა უნივერსიტეტებში არ არის. ის დაწერილია მთის რეგიონის მდგრადი განვითარების თვალსაზრისით ახალგაზრდა კადრების მომზადების მიზნით. პროგრამის შექმნის მიზანია მოამზადოს “მთიანი რეგიონების ორგანული ფერმერული სისტემების მართვის” სპეციალისტი კვალიფიკაციით მენეჯმენტის ბაკალავრი. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბაკალავრიატის პროგრამაში “მთიანი რეგიონების ორგანული ფერმერული სისტემების მართვა“ გათვალისწინებულია უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს მიხედვით ბაკალავრიატისთვის განსაზღვრული კომპეტენციები და დასაქმების ბაზრის მოთხოვნები. ბაკალავრის მომზადება მიმდინარეობს სავალდებულო და თავისუფალი კომპონენტებით განსაზღვრული კრედიტების მეშვეობით. სავალდებულო კომპონენტები მოიცავს: სასწავლო კურსებს, საველე და საწარმოო პრაქტიკას.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ, აღნიშნა, რომ 2.2 და 2.3 კომპონენტებში, რეკომენდაციების რაოდენობისა და სიმწვავიდან გამომდინარე გაუგებარია თუ რატომ განისაზღვრა აღნიშნული სტანდარტი როგორც მეტწილად შესაბამისი. აქედან გამომდინარე, საბჭოს წევრმა მოუწოდა ექსპერტებს საკითხის განმარტებისკენ.

საბჭოს წევრმა ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ არ არის წარმოდგენილი სრულფასოვანი შრომის ბაზრის კვლევა, მოცემულია მხოლოდ გარკვეული მოსაზრებები. გარდა ამისა, აღსანიშნავია ბიუჯეტის საკითხი, კერძოდ 6 სტუდენტზე ბიუჯეტი 13 000 ლარი, ხოლო აკადემიური პერსონალის ხელფასები და პრემიები 24 000 ლარს შეადგენს, შესაბამისად საბჭოს წევრი დაინტერესდა თუ როგორ იფარება მოცემული სხვაობა. წარდგენილი მონაცემების მიხედვით, პროგრამა ფინანსურად მდგრადი არ არის, რაც აუცილებლად უნდა დაფიქსირებულიყო ექსპერტების მიერ.

საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ, აღნიშნა, რომ ზეპირი და წერითი კომუნიკაციის სავალდებულო სასწავლო კურსად განსაზღვრის შესახებ რეკომენდაცია სრულიად შესაბამისია და მნიშვნელოვანია ასევე რომ დაწესებულება ეთანხმება ექსპერტთა მოცემულ მიგნებას. საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ გაეცნო მოცემული სასწავლო კურსის სილაბუსსაც და მხოლოდ მე-8 კვირაში არის განხილული საბაკალავრო ნაშრომის საკითხები, შესაბამისად, აუცილებელია მეტი დრო დაეთმოს საბაკალავრო ნაშრომზე მუშაობას.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ პროგრამის ფარგლებში კურსდამთავრებულებისთვის მისანიჭებელი კვალიფიკაციაა მენეჯმენტი. აქედან გამომდინარე საბჭოს წევრმა დააზუსტა თუ რამდენად იძლევა პროგრამის სწავლის შედეგები შესაძლებლობას, რომ მენეჯმენტის ბაკალავრის კვალიფიკაცია მიენიჭოს კურსდამთავრებულს. გარდა ამისა საბჭოს წევრმა დააზუსტა თუ რამდენად შესაბამისობაშია ერთმანეთთან პროგრამისა და ცალკეული სასწავლო კურსების სწავლის შედეგები.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, აღნიშნა, რომ 2.2 და 2.3 კომპონენტთან არსებული რეკომენდაციების შესრულება სავსებით შესაძლებელია 1 წლის ვადაში, შესაბამისად სტანდარტი განისაზღვრა როგორც მეტწილად შესაბამისი. რაც შეეხება პროგრამის სტრუქტურას, რეკომენდაციის შესაბამისად აუცილებელია გარკვეული სასწავლო კურსების შერწყმა, რათა მოხდეს კრედიტების გამონთავისუფლება, აღნიშნული აუცილებელია იმისათვის, რომ კრედიტების რაოდენობა არ გაცდეს 240-ს.

ექსპერტმა ასევე ისაუბრა ბიუჯეტის საკითხზე და აღნიშნა, რომ რა თქმა უნდა მოცემული ბიუჯეტი ვერ დაფარავს ყველა ხარჯს, თუმცა პროგრამა იმყოფება სახელმწიფო დაფინანსების ქვეშ.

რაც შეეხება სწავლის შედეგებს, კვალიფიკაციის ჩარჩო არ იძლეოდა სხვა კვალიფიკაციის მინიჭების შესაძლებლობას. თუმცა პროგრამა არის დარგობრივ ჭრილში. პროგრამის მოცემულობა სხვა შესაძლებლობას არ იძლევა. ექსპერტთა რეკომენდაციები ძირითადად მიმართულია მენეჯმენტის საკითხების წამოწევისკენ. თუმცა მნიშვნელოვანია დეტალია ის, რომ პროგრამა არ უნდა დაემსგავსოს სტანდარტულ მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამას, გამომდინარე იქიდან რომ პროგრამა საკმაოდ სპეციფიურია. მიუხედავად ამისა, პროგრამის მიხედვით იკვეთება სწავლის შედეგებთან შესაბამისობა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა ბიუჯეტთან დაკავშრებით აღნიშნა, რომ მოცემული გათვლილია 6 სტუდენტზე, ხოლო პროგრამის მნიშვნელობიდან გამომდინარე შემდეგ უკვე ხდება პროგრამის დაფინანსება. პროგრამა თავიდან ბოლომდე არის ფინანსურად უზრუნველყოფილი, არა მარტო ფაკულტეტის ბიუჯეტით, არამედ სახელმწიფოს მხარდაჭერით. ფინანსური მდგრადობის კუთხით პროგრამას ხარვეზი არ აქვს.

რაც შეეხება ,,ზეპირი და წერითი კომუნიკაციის“ სასწავლო კურსს, ფაკულტეტის მიერ გადაწყვეტილი საკითხია, რომ აღნიშნული სავალდებულო კურსად იქნება განსაზღვრული, თუმცა საბაკალავრო ნაშრომის საკითხსაც განსაკუთრებული ყურადღება ექნება დათმობილი.

დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ სასწავლო კურსების სწავლის შედეგები მოცემულია კურიკულუმის სწავლის შედეგებთან მაქსიმალურ ბმაში. ინსტიტუციის წარმომადგენელმა ასევე ისაუბრა კვალიფიკაციასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ პროგრამა თავისი სახელწოდებითა და კვალიფიკაციით დამტკიცებულია და შეთანხმებულია ერთიანი ეროვნული პოლიტიკის დონეზე.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ სწავლის შედეგების 50% მაინც უნდა იყოს ფორმულირებული მენეჯმენტის მიმართულებით. საბჭოს წევრმა ასევე დააზუსტა თუ როგორ გადის პროგრამა პირველი სწავლის შედეგზე, ვინაიდან მენეჯმენტის საგნებიდან გამომდინარე აღნიშნული შედეგის მიღწევა არ იკვეთება. თუმცა იგივე მდგომარეობაა სხვა სასწავლო შედეგებთან მიმართებითაც

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ დააზუსტა შესაძლებელია თუ არა სასწავლო კურსების გაერთიანება და აღნიშნა, რომ თუ ვერ ხდება საკითხები გაერთიანება უმჯობესია პროგრამის ფარგლებში განისაზღვროს 300 კრედიტი და დაწესებულება დაეყრდნოს სახელმწიფო დაფინანსებას. ვინაიდან 0413 გულისხმობს მენეჯმენტისა და ადმინისტრირების კვალიფიკაციას. დაწესებულების სურვილების სავსებით გასაგებია თუმცა აუცილებელია განისაზღვროს თუ რამდენად არის ისინი მიღწევადი.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საკითხი არის საკმაოდ რთული. ამისთვის ერთადერთი გამოსავალი კი იყო სხვა ქვეყნების ანალოგიების შესწავლა, რის შედეგადაც დამტკიცდა, რომ მსგავსი პროგრამები ამ კონტექსტით არის წარმოდგენილი. მოცემულ პროგრამაში ძირითადი მენეჯმენტის საკითხები არ არის განხილული. მოცემულია სათაურიდან გამომდინარე დარგობრივი თემატიკა. თუმცა გასათვალისწინებელია, რომ სხვა მოცემულობით აღნიშნული პროგრამა ვერ იგება.

პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ მთიანი რეგიონების მიმართ განხორციელებული პოლიტიკა არის ქვეყნის რეგიონული განვითარების პოლიტიკის ნაწილი და მიმართულია საქართველოს მთელი ტერიტორიის თანაბარი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფისაკენ და მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრებ პირთა სოციალური და ეკონომიკური პრობლემების გადაჭრისაკენ. ამ პრობლემემის პრაქტიკულად გადაჭრის მიზნით ბოლონიის პროცესის მოთხოვნების მიხედვით ტექნიკური უნივერსიტეტის შესაბამის აკადემიურ და ადმინისტრაციულ დეპარტამენტებთან აქტიური თანამშრომლობით. შეიქმნა ევროპული და ამერიკული მთიანი და ორგანული პროდუქციის წარმოების სასწავლო საგანმანათლებო უნივერსიტეტების პროგრამების ანალოგიური, საქართველოს ბუნებრივ კლიმატურ, სოციალურ და ეკონომიკურ თავისებურებათა გათვალისწინებით ქართული, ამიერკავკასიის სივრცეში ერთადერთი და უნიკალური პროგრამა ,,მთიანი რეგიონების ორგანული ფერმერული სისტემების მართვა“. მთის განვითარებაზე, ერთადერთი ქვეყანა არის ავსტრია, რომელსაც 3 უნივერსიტეტის აქვს მოცემულ საკითხზე ორიენტირებული, არის ასევე მე-4 კერძო უნივერსიტეტი, რომელიც ფერმერული სისტემების დეტალურ შესწავლაზე არის ორიენტირებული და ასევე დეტალურად არის მოცემული მენეჯმენტის საკითხებიც. რომელთა რიცხვში შედის “მთიანი რეგიონების ორგანული ფერმერული სისტემების მართვა” საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ფარგლებში უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები შესაბამისი მიმართულების წამყვან ორგანიზაციებთან. ამ მიმართულებით საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ასევე თანამშრომლობს ავსტრიის ბოკუსა და ევროკავშირის სხვა ქვეყნების წამყვან უნივერსიტეტებთან. წარმოდგენილ ახალ პროგრამაში გათვალისწინებულია მაღალმთიანი ევროპული ქვეყნების: ავსტრიის, შვეიცარიის, საფრანგეთისა და იტალიის წამყვანი უნივერსიტეტების გამოცდილება. პროგრამის შექმნისას მხედველობაში იქნა მიღებული ამერიკული უნივერსიტეტების გამოცდილებაც. პროგრამის ხელმძღვანელმა ასევე აღნიშნა, რომ პროგრამის კვალიფიკაციასთან მიმართებით თავიდანვე არსებობდა გარკვეული ხარვეზი, ვინაიდან საკითხი პირდაპირ არ იყო განსაზღვრული კვალიფიკაციათა ჩარჩოში. პროგრამის ანალოგი საქართველოს სხვა უნივერსიტეტებში არ არის.
საბჭოს თავმჯდომარემ, დიანა მჭედლიშვილმა დააზუსტა განხორციელდება თუ არა პროგრამა ცვლილებების შემდგომ 240 კრედიტის ფარგლებში.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ინსტიტუცია სრულიად იზიარებს ექპსერტთა რეკომენდაციებს და მათი გათვალისწინების შემთხვევაში სავსებით შესაძლებელია 240 კრედიტში მოთავსება.
საბჭოს წევრმა, თამარ ჩხეიძემ აღნიშნა, რომ პროგრამის მდგრადობისთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი და პროგრამის ხელმძღვანელი. როგორც დოკუმენტებიდან ირკვევა, პროგრამის ხელმძღვანელი არის მოწვეული პროფესორი. შესაბამისად, საბჭოს წევრი დაინტერესდა თუ რაშია განსხვავება უფლებრივი მდგომარეობებისა და ვალდებულებების კუთხით ასოცირებულ და მოწვეულ ასოცირებულ პროფესორს შორის და ანალოგიურად პროფესორსა და მოწვეულ პროფესორს შორის. საბჭოს წევრმა ასევე დააზუსტა ხომ არ უფიქრიათ უნივერსიტეტის წარმომადგენლებს თანახელმძღვანელის შერჩევაზე, რომ პროგრამის განვითარების მიმართულებით მომხდარიყო პასუხისმგებლობის გადანაწილება.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ თვითშეფასების ანგარიშის მომზადების პერიოდში პროგრამის ხელმძღვანელს ჰქონდა მოწვეული აკადემიური პერსონალის სტატუსი. თუმცა მიმდინარე რეჟიმში 600 ვაკანტურ ადგილზე გამოცხადებულია კონკურსი, რომელიც სრულდება 15 აგვისტოს. შესაბამისად, პროგრამას მოემსახურება კონკურსის საფუძველზე არჩეული პერსონალი. რაც შეეხება სტატუსობრივ განსხვავებას, ტექნიკურ უნივერსიტეტში წესდებით არის გათვალისწინებული, რომ მოწვეული და კონკურსით შერჩეული პერსონალის უფლებრივი მდგომარეობა, ვალდებულებები და უპირატესობების სავსებით იდენტურია.
საბჭოს წევრმა, ელენე ჟურავლოვამ ისაუბრა პროგრამის ანალოგებზე და აღნიშნა, რომ დაწესებულებას მემორანდუმი აქვს გაფორმებული ბოკუს უნივერსიტეტთან, რომელსაც აქვს

ბუნებრივი და ბიორესურსების მართვის საბაკალავრო პროგრამა, რომლის კურიკულუმშიც არ არის განსაზღვრული, რომ პროგრამა ანიჭებს მენეჯერის ბაკალავრის ხარისხს. რაც შეეხება ინსბრუკის უნივერსიტეტს, საბჭოს წევრმა დააზუსტა განხილული იყო სამაგისტრო თუ საბაკალავრო პროგრამა.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მსგავსი პროგრამა გააჩნია ბოკუს უნივერსიტეტის ორგანული პროდუქტების წარმოების დეპარტამენტს.
საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ განმარტა, რომ როდესაც პროგრამაში მოცემულია სიტყვა მენეჯმენტი, აღნიშნული ავტომატურად არ ნიშნავს იმას, რომ მოცემული გულისხმობს მენეჯმენტისა და ადმინისტრირების კვალიფიკაციას. სიტყვა მენეჯმენტს აქვს სხვადასხვა დატვირთვა. პროგრამის საჭიროება და მნიშვნელობა არ დგას ეჭვ ქვეშ თუმცა მნიშვნელოვანია იმის დადგენა თუ რამდენად მიეკუთვნება მოცემული პროგრამა 0413 კვალიფიკაციას.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ პროგრამის სწავლის შედეგებზე საუბრისას, მნიშვნელოვანია, რომ ისინი ფორმულირდება პროგრამის მიზნებისა და შინაარსის გათვალისწინებით და მიგვანიშნებს კვალიფიკაციაზე. აღსანიშნავია, რომ პროგრამის მიხედვით არ არის გათვალისწინებული ისეთი სწავლის შედეგები, რომლებიც მიგვანიშნებენ მენეჯმენტის კვალიფიკაციაზე. საბჭოს წევრმა ასევე დააზუსტა თუ რა პრინციპით არის შექმნილი რუბრიკა. მენეჯმენტის საფუძვლების კურის, სადაც საუბარია მენეჯმენტის არსზე, ორგანიზაციების ტიპებზე და ასე შემდეგ, რამდენად იძლევა სწავლის შედეგებზე გასვლის საშუალებას. აქედან გამომდინარე, დაწესებულებამ ან უნდა გადახედოს სწავლის შედეგებს და მოახდინოს მათი მოდიფიცირება, რომ ის სასწავლო კურსები, რომლებიც კვალიფიკაციის მინიჭებისთვის მნიშვნელოვანია დაფარული იყოს, ან დაწესებულებამ უნდა გადახედო კვალიფიკაციის საკითხს.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ კონსულტაციებისა და მსჯელობების შედეგად, გადაწყვეტილება იქნა მიღებული, რომ მოცემულ მიმართულებასთან ყველაზე მეტად შესაბამისი იქნებოდა მენეჯმენტის კვალიფიკაცია.
საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ ასევე აღნიშნა, რომ პროგრამა ვერ ფარავს მენეჯმენტის ველებს, რაც მთავარ პრობლემას წარმოადგენს.
საბჭოს თავმჯდომარემ, დიანა მჭედლიშვილმა აღნიშნა, რომ წინა საბჭოს დასკვნაში მოცემულია რეკომენდაციები სწორედ განსახილველ საკითხთან დაკავშრებით, რომელთა მიმართებითაც ექსპერტთა დასკვნაში მოცემულია, რომ დაწესებულების მიერ მოხდა აღნიშნული რეკომენდაციების შესრულება. აქედან გამომდინარე, საბჭოს წევრმა მოუწოდა ექსპერტებს საკითხის დაზუსტებისკენ.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, აღნიშნა, რომ რეკომენდაციები ეხება პროგრამის სწავლის შედეგებს და დასკვნაშიც არის მოცემული ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, რომ დაწესებულების მიერ აღნიშნული არ იქნა გათვალისწინებული.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ყველა რეკომენდაცია რომელიც განსაზღვრული იყო წინა საბჭოს მიერ, დაწესებულების მიერ გაზიარებული და განხორციელებული იქნა. ინსტიტუცია ასევე სრულიად იზიარებს ექსპერტთა რეკომენდაციები და მზად არის აუცილებელი ცვლილებების განსახორციელებლად.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ როგორც არის პროგრამაში სწავლის შედეგები ფორმულირებული, მოცემული სასწავლო კურსები თავისი შინაარსით ვერ გადის.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 17:16
დასრულების დრო: 18:05

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "მთიანი რეგიონების ორგანული ფერმერული სისტემების მართვის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 11

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 31-ე მუხლის მე - 2 და მე - 5 პუნქტების, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მთიანი რეგიონების ორგანული ფერმერული სისტემების მართვის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, ერთ წელში მონიტორინგის განხორციელების პირობით.

ერთიანი ეროვნულ გამოცდებზე დარეგისტრირებული აბიტურიენტების ინფორმირების მიზნით, საბჭომ აღნიშნული გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განსაზღვრა 2021 წლის 4 აგვისტო.

საბჭოს გადაწყვეტილებით კომპონენტების შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან განისაზღვრა შემდეგნაირად:

პირველი და მე-4 სტანდარტი, 2.6, 4.1, 4.4, 5.1 და 5.3 კომპონენტები ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ განისაზღვრა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, 1.2 კომპონენტი ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ განისაზღვრა როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ 2.3 კომპონენტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ განისაზღვრა როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და ჩამოაყალიბა შემდეგი რედაქტირებით:

1. რეკომენდებულია შრომის ბაზრის კვლევის სისტემური სრულყოფა, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს კვლევის შედეგების მეტი რელევანტურობის უზრუნველყოფას და დაეხმარება პროგრამას მიზნობრივად მოიზიდოს მეტი სტუდენტი
2. რეკომენდირებულია დაწესებულებამ გადახედოს პროგრამის სწავლის შედეგების რუკაზე პროგრამის სწავლის შედეგების განმტკიცების ნაწილში ცალკეული სასწავლო კურსების (ცხოველთა ორგანული კვება მთის ორგანულ ფერმერულ სისტემებში, რეგიონალური ეკონომიკის საფუძვლები, ორგანიზაციული ქცევა და ა.შ.) მონაწილეობის საკითხს
3. რეკომენდებულია პროგრამის სწავლის შედეგები გადაიხედოს მისანიჭებელი კვალიფიკაციის ჭრილში და მკაფიოდ გამოიკვეთოს მენეჯმენტის კომპეტენციები.
4. რეკომენდებულია პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსების სახით შეთავაზებული იქნეს შემდეგი სასწავლო კურსები: მათემატიკა, წერითი და ზეპირი კომუნიკაციები;
5. რეკომენდებულია პროგრამაში სავალდებულო კომპონენტის სახით წარმოდგენილი საწარმოო და საველე პრაქტიკის შერწყმა და ერთიანი პრაქტიკის კომპონეტის სახით წარმოდგენა 5 კრედიტის მოცულობით, ასევე სასწავლო კურსების ,,მწავენე ეკონომიკა“ და ,,ბიოეკონომიკის“ შერწყმა მათი შინაარსიდან გამომდინარე და ერთი 5 კრედიტიანი სასწავლო კურსის სახით წარმოდგენა;

6. რეკომენდებულია სასწავლო კურსის ,,საგადასახადო დაბეგვრის საფუძვლები“ სავალდებულო სასწავლო კურსის სახით წარმოდგენა პროგრამის სტრუქტურაში. ვინაიდან აღნიშნული კურსი არჩევითი კომპონენტის სახით არის პროგრამის სტრუქტურაში წარმოდგენილი უნდა მოხდეს მისი სტატუსის ცვლილება და სავალდებულო სახით წარმოდგენა;
7. რეკომენდებულია ,,რესურსების და სტრატეგიული მენეჯმენტის“ სასწავლო კურსის მისი შინაარსის გათვალისწინებით დაყოფა ორი სავალდებულო სასწავლო კურსის სახით: ადამიანური რესურსების მენეჯმენტი და სტრატეგიული მენეჯმენტი;
8. რეკომენდირებულია დაწესებულებამ გააძლიეროს ხარისხის მართვის და რისკების მართვის საკითხების სწავლება.
9. რეკომენდებულია გამოყენებითი ინფორმატიკის საფუძვლები 1 სასწავლო კურსის შინაარსის კორექტირება, კერძოდ, - შინაარსში საჭიროა MS Office სრულყოფილად წარმოდგენა;
10. რეკომენდებულია სასწავლო კურსის ,,მენეჯმენტის საფუძვლების“ შინაარსის გაძლიერება მოტივაციის საკითხებით, მათ შორის მოტივაციის თეორიების სახით, რათა სრულად მოხდეს სასწავლო კურსის სილაბუსით გაწერილი სწავლის შედეგების მიღწევა;

11. რეკომენდებულია სასწავლო კურსების შინაარსისა და მათში გამოყენებული სავალდებულო ლიტერატურის გათვალისწინებით დაკორექტირდეს შემდეგი სასწავლო კურსების სახელწოდებები ,,დაპროექტება და პროექტის მართვა აგრარულ და ბიოსისტემების ინჟინერიაში“ და ,,აგრობიზნესის მიწოდების ჯაჭვის მდგრადი მართვის საფუძვლები“, როგორც ,,პროექტების მართვა“ და ,,მიწოდების ჯაჭვის მართვა“;
12. რეკომენდებულია სასწავლო კურსი ,,რესურსები და სტრატეგიული მენეჯმენტი“ გაიყოს ორ ნაწილად, რადგანაც კურსის შინაარსი გაჯერებულია ადამიანური რესურსების მართვის საკითხებით, თუმცა არასაკმარისად არის წარმოდგენილი უშუალოდ სტრატეგიული მენეჯმენტის საკითხები (სტრატეგიული დაგეგმვის, სტრატეგიების შემუშავების, შერჩევის, დანერგვის, აღსრულების, მონიტორინგის და ა.შ. საკითხები). შესაბამისად, საჭიროა ცალცალკე იქნეს წარმოდგენილი ,,ადამიანური რესურსების მართვის“ და ,,სტრატეგიული მენეჯმენტის“ სასწავლო კურსები, რაც ასევე თანხვედრაშია მე-2 სტანდარტის 2.2 ქვეკომპონენტში პროგრამის სტრუქტურის მიმართ გაცემულ რეკომენდაციასთან;
13. რეკომენდებულია გარკვეული სასწავლო კურსების წინაპირობების დაკორექტირება, კერძოდ: სტატისტიკის სასწავლო კურსის წინაპირობად განისაზღვროს მათემატიკის კურსი, რომელიც თავის მხრივ უნდა დაემატოს პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსებს, ასევე უნდა დაკორექტირდეს საბაკალავრო ნაშრომის წინაპირობა, კერძოდ წინაპირობად უნდა განისაზღვროს პროგრამით გათვალისწინებული ყველა სავალდებულო სასწავლო კურსი 7-ე სემესტრის ჩათვლით რადგანაც საბაკალვრო ნაშრომი გათვალისწინებულია მე-8 სემესტრში. გარდა წინაპირობისა ამავე სილაბუსში დასაკორექტირებელია საბაკალავრო ნაშრომის შესრულების ერთერთი ტექნიკური პარამეტრი, კერძოდ ნაშრომის მოცულობის განსაზღვრის ნაწილში, სადაც მითითებულია რომ ,,საბაკალავრო ნაშრომის მოცულობა უნდა შეადგენდეს არაუმეტეს 20 გვერდისა“, რაც თეორიულად ტოვებს ლეგალურ გზას სტუდენტის მხრიდან წარმოდგენილი იქნეს მაგალითად 5 გვერდიანი ნაშრომი და მოითხოვოს მისი დაცვაზე დაშვება;
14. რეკომენდებულია პროგრამაში არსებული პრაქტიკის კომპონენტების გაერთიანება ერთ პრაქტიკის კომპონენტად და მისი წარმოდგენა სწავლების ბოლო წელს, შესაბამისად სრულყოფილად უნდა იქნეს წარმოდგენილი პრაქტიკაზე დაშვების წინაპირობაც, რომელიც არსებული მოცემულობით არასრულია. საჭიროა წინაპირობად განისაზღვროს პრაქტიკის გავლის მომენტისთვის განსაზღვრული ყველა სავალდებულო სასწავლო კურსების გავლა; ~

15. რეკომენდებულია უნივერსიტეტმა იზრუნოს პოტენციური პრაქტიკის ობიექტების არეალის გაზრდაზე და გააფორმოს მათთან შესაბამისი თანამშრომლობის მემორანდუმები.

16. რეკომენდირებულია პროგრამის ხელმძღვანელობის პროცესში ჩაერთოს დარგობრივი აკადემიური პერსონალი თანახელმძღვანელის სტატუსით.
17. რეკომენდირებულია წარმნოდგენილ იქნას პროგრამის ფინაური მდგრადობის დამადასტურებელი მასალები.
18. რეკომენდირებულია ამოქმედდეს შიდა ხარისხის მონიტორინგის მექანიზმები პროგრამის განვითარებისა და სწავლის შედეგების მიღწევადობის უზრუნველსაყოფად.
19. რეკომენდირებულია პროგრამას თან ახლდეს დაწესებულებას მიერ ჩატარებული უცხოური გამოცდილების შესწავლის ე.წ. ,,ბენჩმარკინგის" დეტალური ანგარიში;

რჩევები:

1. სასურველია პროგრამაში დაკონკრეტდეს კონკრეტულად მენეჯმენტის რომელ რგოლში აქვთ შანსი პროგრამის კურსდამთავრებულებს დასაქმებისათვის.
2. სასურველია პროგრამის ფარგლებში ინგლისური ენის შესწავლა იყოს სავალდებულო, რაც პროგრამის სტუდენტებს მისცემს საშუალებებს თანაბრად ქონდეთ წვდომა როგორც ინგლისურენოვან თანამედროვე მასალებთან, ისე აქტიურად ჩაერთონ ინტერნაციონალიზაციის პროცესში;
3. სასურველია დაწესებულებამ განსაკუთრებით პროგრამის დარგობრივი სასწავლო კურსების ნაწილში მოახდინოს სასწავლო კურსების კრედიტების რანჟირება თუნდაც 3-5 კრედიტის ფარგლებში, რაც საშუალებას მისცემს პროგრამას სავალდებულო სასწავლო კურსების ნაწილში დამატებით იქნეს გამოთავისუფლებული გარკვეული კრედიტები და მოხდეს საჭირო ცვლილებების განხორციელება;

4. სასურველია დაწესებულებამ მაქსიმალურად აარიდოს თავი ცალკეული სასწავლო კურსების შინაარსში გარკვეული თემატიკის გადაფარვას, კერძოდ გარკვეულ საკითხებში (ბიზნესის გარემო, ბიზნესის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები, გადასახადები) ერთმანეთს ფარავს ბიზნესის საფუძვლების, სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების, საგადასახადო დაბეგვრის საფუძვლების სასწავლო კურსების შინაარსი;
5. სასურველია სასწავლო კურსებში ,,ფერმერული მეურნეობის მენეჯმენტი" ,,სასოფლოსამეურნეო მექანიზაცია", ,,ცხოველთა ორგანული კვება მთის ორგანულ ფერმერულ სისტემებში", ,,ოპერაციათა მენეჯმენტი" სავალდებულო ლიტერატურის განახლება;
6. სასურველია დაწესებულებამ კიდევ უფრო გააქტიუროს მოწვეული სპეციალიტების მიერ ვორქშოფების, სემინარების, საჯარო ლექციების ჩატარების პრაქტიკა.
7. სასურველია პროგრამის ფარგლებში შემუშავებული იქნეს სტუდენტთა ინტერნაციონალიზაციის, გაცვლით პროგრამებში ჩართულობის გასაზრდელად ქმედითი სამოქმედო გეგმა
8. სასურველია პროგრამის ფარგლებში არსებობდეს პერსონალის სემესტრულად განახლებადი დატვირთვის სქემა, რომელიც მოიცავს სასწავლო/სამეცნიერო მუშაობას, სხვა შესაბამის დატვირთვას პერსონალის საქმიანობიდან გამომდინარე, ასევე დატვირთვას ყველა იმ უსდში, სადაც ის არის დასაქმებული.
9. სასურველია პერსონალის შერჩევისას და აკადემიურ, სამეცნიერო-კვლევით და სხვა შესაბამის საქმიანობაში მიღწეული შედეგების შეფასებისას, უნივერსიტეტმა მხედველობაში მიიღოს ბოლო ხუთი წლის განმავლობაში შესრულებული სამეცნიერო საქმიანობა.
10. სასურველია უნივერსიტეტმა იზრუნოს ონლაინ პლატფორმის სრულყოფილი გამოყენების შესაძლებლობის გაზრდაზე, რათა უზრუნველყოფილი იქნეს ლექციების შეუფერხებლად ჩატარება დისტანციური სწავლების პირობებში.
11. სასურველია აკადემიური და მოწვეული პერსონალი მეტად იყოს ჩართული პროგრამის ხარისხის შეფასებისა და განვითარების პროცესში, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან კოორდინირებით.

12. სასურველია პროგრამის ფარგლებში გამოყენებულ იქნას თანამშრომლობის შესაძლებლობები და არსებული კონტაქტები განმავითარებელი კოლეგიალური შეფასების მიზნით პროგრამის გასაუმჯობესებლად;

3.**მესამე საკითხი:** შპს ევროპული სკოლის ამერიკული უმაღლესი სკოლის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ამერიკული უმაღლესი სკოლა American High School (AHS)
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	განათლების საფეხური	საბაზო-საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა (VIII-XII კლასები)
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	II-IV
9	კვალიფიკაციის დასახელება	-
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	-
12	სწავლების ენა	ინგლისური
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	-
14	განხორციელების ადგილი	ქ. თბილისი, ირინე სხირტლაძის ქუჩა N 2, 0177, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ არა

18:09- საბჭოს სხდომას შეურთდა ნათია ზედგენიძე-ჯიშკარიანი.

აკრედიტაციის დებულების 27[2]-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, ნათია ზედგენიძე-ჯიშჯარიანი.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ზოგად საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშს, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და ექსპერტთა

დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ შპს ევროპული სკოლის ამერიკული უმაღლესი სკოლის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტების შეფასებასთან დაკავშირებული პროცედურები განხორციელდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით 2021 წლის 6 და 7 ივლისს. მისი თქმით, ექსპერტები დეტალურად გაეცნენ სკოლის მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშს და თანდართულ დოკუმენტაციას. დამაზუსტებელ კითხვებზე პასუხის მიღების მიზნით ვიზიტის ფარგლებში ჩატარდა სასკოლო საზოგადოების წევრებთან, სასწავლო გეგმის შემუშავებაზე, სასწავლო პროცესის ორგანიზებაზე და ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრება/ინტერვიუირება. ასევე, განხორციელდა ონლაინ შეხვედრა მე-8 - მე-12 კლასის მოსწავლეებთან და მოსწავლეთა მშობლებთან. ვიზიტის დროს შენობა-ნაგებობების და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება მოხდა ვირტუალურად 3D -ტურის მეშვეობით.
ექსპერტის განცხადებით, 2013 წელს ევროპული სკოლის ამერიკული უმაღლესი სკოლა გახდა ამერიკის შეერთებული შტატების მააკრედიტერებელი ორგანიზაციის „AdvancED Education, Inc.“-ის (ამჟამად რეგისტრირებულია, როგორც „Cognia, Inc.“) North Central Association of Colleges and Schools-ის (სკოლებისა და უნივერსიტეტების ჩრდილოეთის და ცენტრალური შტატების ასოციაცია) აკრედიტაციის კანდიდატი სკოლა, 2015 წლის ივნისში კი მიიღო სრული აკრედიტაცია. სკოლის რეაკრედიტაცია მოხდა 2020 წლის თებერვალში, ხუთწლიანი ვადით. ამერიკული უმაღლესი სკოლის კურიკულუმი დაფუძნებული იყო ამერიკის შეერთებული შტატების შესაბამისი საფეხურის სტანდარტებზე. სკოლა თავაზობდა მოსწავლეებს საუნივერსიტეტო დონის Advanced Placement (AP) საგნების დიდი რაოდენობით არჩევანს. 2015 წლიდან ამერიკული უმაღლესი სკოლა იყო College Board-ის (კოლეჯ ბორდი - მოსწავლეთა საუნივერსიტეტო მომზადების, განათლების მუშაკებისა და სკოლების განვითარების მისიაზე ორიენტირებული ორგანიზაცია) ოფიციალური წევრი. 2020 წელს, Cognia-ს წარმომადგენლების რეაკრედიტაციის ვიზიტის შემდეგ სკოლამ მიიღო ანგარიში, რომელშიც დეტალურად იყო შეფასებული სკოლაში მიმდინარე პროცესები. შეფასების კომპონენტების უმეტესობაში, Cognia-ს მიერ დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით, სკოლას უმაღლესი ქულა მიენიჭა. ეს კომპონენტები მისია და მიზანი, პოლიტიკის ჩამოყალიბება, პასუხისმგებლობებისა და ფუნქციება/მოვალეობების განაწილება, სწავლა-სწავლების პროცედურები, დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა, პოზიტიური სასწავლო გარემო, მაღალი მოლოდინების ჩამოყალიბება სწავლებისას, სტანდარტებთან შესაბამისობა, საუნივერსიტეტო ორიენტაცია, მოსწავლეთა საჭიროებების განსაზღვრა, შეფასების პროცესი, მონაცემთა შეგროვება და ანალიზი, პერსონალის კვალიფიციურობა და პროფესიონალიზმი, რესურსებით უზრუნველყოფა და სტრატეგიული დაგეგმვა. ექსპერტის განმარტებით, ამერიკის შეერთებული შტატების მიერ შემუშავებული ,,საერთო ძირითადი სტანდარტებისა“ (Common Core State Standards) და ,,მომავალი თაობის მეცნიერებათა სტანდარტების“ (Next Generation Science Standards)

შესწავლით, ასევე ევროპული სკოლის ამერიკული უმაღლესი სკოლის პროგრამების გაცნობით შეეძლოთ შეფასებინათ, რომ წარმოდგენილი პროგრამა არ ეწინააღმდეგებოდა საქართველოს ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს და ძირითად შემთხვევაში თავსებადი იყო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცებულ ეროვნულ სასწავლო გეგმასთან.
შპს ევროპული სკოლის ამერიკული უმაღლესი სკოლის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:

პირველისტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეორესტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მესამესტანდარტი _ მოსწავლეების მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეოთხესტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეხუთესტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი საკმაოდ კონსტრუქციულ და საქმიან გარემოში მიმდინარეობდა. სკოლის მხრიდან ექსპერტების მიერ მოთხოვნილი ყველა დამატებითი დოკუმენტაცია დროულად იქნა წარმოდგენილი. დაწესებულება სრულიად ეთანხმებოდა და იზიარებდა ექსპერტთა შეფასებას.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
მოწვეული საბჭოს წევრი, ქეთევან ბოტკოველი დაინტერესდა თუ როგორ ხორციელდებოდა წარმოდგენილი პროგრამის ფარგლებში ქართული ენის სწავლება არა ქართულენოვანი მოსწავლეებისთვის. გარდა ამისა, საბჭოს წევრმა დააზუსტა შეკითხვა, თუ როგორ ხდებოდა მე-8 კლასიდან მოსწავლეების მიღება. ქეთევან ბოტკოველმა ასევე აღნიშნა, რომ სკოლა ახორციელებდა სამ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამას, შესაბამისად დაინტერესდა თუ როგორ ხდებოდა მობილობა მოცემულ პროგრამებს შორის.
საბჭოს წევრი, ელიზბარ ელიზბარაშვილი დაინტერესდა, თუ რამდენად იყვნენ მოსწავლეები ქიმიისა და ბიოლოგიის მიმართულებით ჩართულნი სხვადასხვა პროექტებსა და პრაქტიკულ აქტივობებში.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა დააზუსტა თუ რატომ განიხილებოდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე.ცენტრის წარმომადგენელმა, თამარ შენგელიამ განმარტა, რომ საბჭო წარმოადგენდა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს, შესაბამისად, უფლებამოსილი იყო განეხილა როგორც ზოგადსაგანმანათლებლო, ასევე უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საკითხი. ამასთან, მან დამატებით დასძინა რომ 2016 წლის შემდეგ პირველად მიმდინარეობდა ცენტრში ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სააკრედიტაციო ადმინისტრაციული წარმოება.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია საბჭოს წევრების კითხვებთან და მოსაზრებებთან მიმართებით.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ქართული ენა 8-12 კლასებში ერთი სრული კრედიტის ფარგლებში ისწავლებოდა. რაც შეეხებოდა უცხოელ მოსწავლეებს, რომლებმაც იცოდნენ ქართული მცირე დოზით, ისინი ჩვეულებრივად ესწრებოდნენ ქართულის გაკვეთილებს. თუმცა დავალებები მათთვის შედარებით მსუბუქი იყო ვიდრე ქართულენოვანი

მოსწავლეებისთვის. ამასთან, იმ მოსწავლეებისთვის, რომლებმაც საერთოდ არ იცოდნენ ქართული ენა, მათთვის პარალელურ რეჟიმში ტარდებოდა გაკვეთილები. წარმომადგენლის განცხადებით, მნიშვნელოვანი იყო ასევე მობილობის საკითხიც. კერძოდ, პირველ რიგში ხდებოდა კრედიტების დათვლა, რადგან ამერიკული დიპლომის გასაცემად აუცილებელი იყო 24 კრედიტი, სკოლა კი მოსწავლეებს თავაზობდა 28,5 კრედიტს, ანუ უფრო მეტ საგნებს. ამის შესაბამისად ხდებოდა მოსწავლის მიღება. ასევე, მოსწავლეებს უტარდებოდათ გასაუბრება ინგლისური ენის კომპეტენციის დასადგენად. სკოლის წარმომადგენლის თქმით, რაც შეეხებოდა საბუნებისმეტყველო საგნებს, მას ამერიკული პროგრამა სრულიად ფარავდა. მოსწავლეების ჩართულობა საერთაშორისო პროექტებში საკმაოდ დიდი იყო, ისინი მუდმივად ერთვებოდნენ სხვადსხვა სახის ოლიმპიადებში. დაწესებულებას ჰქონდა senior და junior პროექტები, რომლის ფარგლებშიც ყველა მოსწავლეს მოეთხოვებოდა სამეცნიერო კვლევის გაკეთება და წარდგენა. წარმოდგენილი პროგრამის სააკრედიტაციოდ წარმოდგენის მიზანთან დაკავშირებით, სკოლის დირექტორმა დასძინა, რომ პანდემიური მდგომარეობიდან გამომდინარე, მოსწავლეებს ხელი ეშლებოდათ საზღვარგარეთ სწავლების გაგრძელებაში, ისინი საკმაოდ რთულ გზას გადიოდნენ საქართველოში სწავლის გასაგრძელებლად, შესაბამისად, პროგრამის აკრედიტაცია იქნებოდა მათი მხარდაჭერის გზა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 18:34
დასრულების დრო: 18:42

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ევროპული სკოლის ამერიკული უმაღლესი სკოლის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს ევროპული სკოლის ამერიკული უმაღლესი სკოლის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 4 წლის ვადით.

4.მეოთხე საკითხი: სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემიის „სახელმწიფო რესურსების მართვის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სახელმწიფო რესურსების მართვა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	ახალი
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VII
9	კვალიფიკაციის დასახელება	საჯარო მმართველობის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0413- მენეჯმენტი და ადმინისტრირება
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	121
14	განხორციელების ადგილი	ცხინვალის გზატკეცილი მესამე კილომეტრი, გორი
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის „სახელმწიფო რესურსების მართვის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შესაფასებლად აკრედიტაციის ვიზიტი უსდ-ში განახორციელა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით 2021 წლის 9 ივნისს. ონლაინ აკრედიტაციის ვიზიტის მსვლელობისას ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა უსდ-ს რექტორის მოადგილეებს, პროგრამის ხელმძღვანელს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფს, პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს, დამსაქმებლებს, ბიბლიოთეკის წარმომადგენლებს. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (ბიბლიოთეკა, აუდიტორიები და ა.შ. დათვალიერება განხორციელდა, როგორც წინასწარ მოწოდებული აუიდიო-ვიზუალური მასალით, ასევე ონლაინ ფორმატში უშუალოდ აკრედიტაციის ვიზიტის განხორციელების დროს. სამუშაო ვიზიტი მიმდინარეობდა მშვიდ და კონსტრუქციულ გარემოში. ვიზიტის მსვლელობისას ჩატარებული შეხვედრები და პროგრამაზე თანდართული დოკუმენტების შეფასება საკმარისი აღმოჩნდა ექსპერტთა ჯგუფისთვის, რომ დეტალურად განეხილა პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან.

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემიის „სახელმწიფო რესურსების მართვის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:

პირველისტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეორესტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მესამესტანდარტი _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეოთხესტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეხუთესტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1.პროგრამაზე ჩარიცხვის პროცესში, შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის და/ან გასაუბრების ეტაპზე, წინასწარ განსაზღვრულ თემებს დაემატოს საჯარო მმართველობისა და საჯარო პოლიტიკის საკითხები, რომლებიც წინდაწინ საჯაროდ გამოქვეყნდება უსდ-ს ვებ-გვერდზე და ხელისაწვდომი იქნება პროგრამაზე სწავლის მსურველთათვის.

2. სწავლის შედეგის: „პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული ჩამოთვლის ეკონომიკის მოქმედების პრინციპებსა და ეროვნულ უსაფრთხოებაზე მათი ზეგავლენის მექანიზმებს“ გადახედვა და ფორმულირება სამაგისტრო საფეხურის სწავლის შედეგების შესაბამისად, რადგან კვალიფიკაციების ეროვნული ჩარჩო მე-7 დონის სწავლის შედეგად არ ითვალისწინებს "ჩამოთვლას".

3. ძირითად სასწავლო კურსში „სახელმწიფო მოწყობა და ეროვნული უსაფრთხოება“ დაემატოს საჯარო მმართველობის კანონმდებლობის მარეგულირებელი საკითხების განხილვა.

4. კურსში „დაგეგმვა, პროგრამირება, ბიუჯეტირება და აღსრულება“, ძირითადი ლიტერატურის გამოცემის წლების მითითება.

5. კურსი „სახელმწიფო მოწყობა და ეროვნული უსაფრთხოება“ რუსულენოვანი წყაროების მიხედვით რიდერის შემუშავება ან მათი ჩანაცვლება ქართული ან ინგლისურენოვანი თარგმანით.

6. კურსებში „სისტემის ეფექტიანობის შეფასება და აუდიტი“ და „ინდუსტრიული ეკონომიკა“ ძირითადი ლიტერატურის შედარებით ახალი გამოცემების გამოყენება.

7. სასწავლო კურსის „აკადემიური წერის“ სილაბუსებში შეფასების რუბრიკები შესაბამისობაში მოვიდეს კურსის შეფასების სისტემასთან.
8. გასწორდეს სასწავლო კურსის „ეროვნული უსაფრთხოების ეკონომიკის“ შეფასების სისტემა, რათა კურსი ფასდებოდეს 100 ქულით.
9. სასწავლო კურსში „საჯარო ფინანსები“ დეტალური კრიტერიუმების მიხედვით შემუშავდეს შულედური და დასკვნითი გამოცდების რუბრიკები.
10. გასწორდეს სამაგისტრო ნაშრომის მომზადების, გაფორმების, წარდგენის და დაცვის ინსტრუქციასა და სილაბუსში მითითებული სამაგისტრო ნაშრომის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი (45%) და ის შესაბამისობაში მოვიდეს საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის №3 ბრძანებასთან, რათა 100 ქულიდან ნაშრომის ზღვარი შეადგენდეს 51 ქულას (51%).
11. რეკომენდებულია, პროგრამაში საჯარო მმართველობის დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პერსონალის ჩართვა, რათა სამაგისტრო ნაშრომის მომზადების პროცესში სტუდენტები უზრუნველყოფილნი იყვნენ მისანიჭებელი კვალიფიკაციის მქონე ხელმძღვანელისა და თანახელმძღვანელის მხარდაჭერით.
12. რეკომენდირებულია პროგრამის განმახორციელებელ პერსონალს დაემატოს საჯარო მმართველობის კანონმდებლობის მარეგულირებელი საკითხებისა და საჯარო სექტორში ადამიანური რესურსების მართვის კურსების განმახორციელებელი პერსონალი.
13. რეკომენდირებულია აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის გაანგარიშებისას მხედველობაში მიიღებოდეს პერსონალის დატვირთვა ყველა იმ უსდ-ში, სადაც ის არის დასაქმებული.
14. მიზანშეწონილია ბიბლიოთეკის რესურსების სერვისების დახვეწა მომხმარებელთა ეფექტური მომსახურების უზრუნველსაყოფად

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს კონსტრუქციული ვიზიტისთვის და აღნიშნა, რომ აკადემია ეთანხმება ყველა რეკომენდაციას.
მნიშვნელოვანია, რომ დაწესებულებამ უკვე დაიწყო საჯარო მმართველობის დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალის ძიება, თუმცა პროგრამის განხორციელებაში ჩართულნი იქნებიან პროფესიონალები და პრაქტიკოსები.
დაწესებულების მიერ გასწორებული იქნა არსებული ტექნიკური ხარვეზები, ასევე სასწავლო კურსებში აუცილებელი დეტალები უკვე გათვალისწინებულია.
რაც შეეხება კვალიფიკაციას, თავდაპირველად პროგრამა იყო მენეჯმენტის მიმართულებით, თუმცა დაწესებულებამ საკამოდ დიდი გზა გაიარა იმისთვის, რომ გეზი აეღო სწორი მიმართულებისკენ და საბოლოოდ ჩამოყალიბებულიყო წარმოდგენილი კვალიფიკაციით.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ, დააზუსტა თუ რამდენი აკადემიური პერსონალი ჰყავს ამ ეტაპზე პროგრამას საჯარო მმართველობის მიმართულებით. საბჭოს წევრმა ასევე აღნიშნა, რომ სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსში შეფასების ნაწილი არ არის შესაბამისობაში მინისტრი N3 ბრძანებასთან, შესაბამისად საჭიროებს გასწორებას. საბჭოს წევრმა ასევე მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს სამაგისტრო ნაშრომის შეფასების აღწერისკენ.
საბჭოს წევრმა, გაიოზ ფარცხალაძემ აღნიშნა, რომ დაშვების წინაპირობაში, ზუსტად არ ჩანს თუ რომელი სპეციალობის სტუდენტი შეიძლება ჩაერიცხოს მოცემულ პროგრამაზე. შესაბამისად მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენელებს საკითხის განმარტებისკენ. გარდა ამისა, საბჭოს წევრმა გამოყო ლიტერატურის საკითხი და აღნიშნა, რომ რიგ სასწავლო კურსებში ძირითადად მითითებულია უცხოენოვანი ლიტერატურა.

საბჭოს წევრმა, თეონა მატარაძემ აღნიშნა, რომ პროგრამის ხელმძღვანელი წარმოდგენილია მაგისტრი ხარისხით. შესაბამისად, საბჭოს წევრი დაინტერესდა თუ როგორ ხდება სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელობა. აღსანიშნავია ასევე, რომ ,,აკადემიური წერისა" და ,,კვლევის მეთოდების" სასწავლო კურსებს შორის არის გადაფარვა.
საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ დააზუსტა თუ რამდენ მაგისტრზე არის გათვლილი პროგრამა და როგორ ხდება დაფინანსება. საბჭოს წევრმა ასევე აღნიშნა, რომ უმჯობესი იქნებოდა პროგრამაში გათვალისწინებული ყოფილიყო საჯარო სექტორში სტრატეგიის საკითხები.
საბჭოს წევრმა, ელენე ჟურავლოვამ აღნიშნა დატვირთვის გაანგარიშების საკითხთან დაკავშირებული რეკომენდაცია და მოუწოდა ექსპერტებს მისი განმარტებისკენ.
საბჭოს წევრმა ეკატერინე ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ ,,სტრატეგიული ლიდერობის" სილაბუსი საჭიროებს დახვეწას, კერძოდ აღნიშნული ორიენტირებული უნდა იყოს საჯარო სექტორზე. შესაბამისად სასწავლო კურსი დასკვნაში არსებულ კომპეტენციაზე ვერ გადის.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
ექსპერტმა განმარტა, რომ პროგრამის ფარგლებში 7 აფელირებული აკადემიური პერსონალია წარმოდგენილი, აქედან 2 პროფესორი, 2 ასოცირებული პროფესორი და 3 ასისტენტ პროფესორი. გარდა ამისა, პროგრამას ახორციელებს 10 მოწვეული პერსონალი. პროგრამის ფარგლებში არ არის საჯარო მმართველობის დოქტორის ხარისხის მქონე აკადემიური პერსონალი, რამაც გამოიწვია რეკომენდაციის განსაზღვრა. პროგრამაში ძირითადად ჩართულნი არიან მომიჯნავე სფეროების დოქტორები. რაც შეეხება მათ დატვირთვას, აღსანიშნავია, რომ აკადემია არ ანგარიშობს სხვა უნივერსიტეტებში დატვირთვის საათებს.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სამაგისტრო ნაშრომთან დაკავშირებით თავდაპირველად ხდება ხელმძღვანელის მიერ შეფასება, ხოლო შემდეგ მისი საჯარო დაცვა. ნაშრომი ფასდება ხელმძღვანელისა და რეცენზენტის მიერ და როდესაც ორივე შეაფასებს ნაშრომს მხოლოდ ამის შემდგომ ხდება მისი საჯარო დაცვა.
რაც შეეხება ინგლისურენოვან ლიტერატურას, იქიდან გამომდინარე, რომ პროგრამა არის უნიკალური და მსგავსი პროგრამა არსებობს მხოლოდ ამერიკის შეერთებულ შტატებში, გამოყენებულია უცხოენოვანი ლიტერატურა, თუმცა გამოცდები და სწავლება მიმდინარეობს ქართულად.
მნიშვნელოვანია, პროგრამაზე მიღების წინაპირობის ფარგლებში რაიმე კონკრეტული მიმართულება დაწესებულებას განსაზღვრული არ აქვს.
რაც შეხება დაფინანსებასა და ბიუჯეტს, პროგრამა ფინანსდება სრულად საქართველოს თავდაცვის აკადემიის მიერ და ამიტომაც ძირითადი ორიენტირი გაკეთებულია საჯარო სექტორზე.
მნიშვნელოვანია ასევე კვლევის მეთოდების საკითხი, დაწესებულებას აქვს ექსტრაკურიკულური აქტივობა, როგორც საბაკალავრო ისე სამაგისტრო საფეხურზე, რაც გულისხმობს კვლევის მიმართულების გაძლიერებულ სწავლებას. აღნიშნული არის მოდული, რომელიც სურვილის შემთხვევაში უტარდებათ იუნკერებს, თუმცა სტატისტიკის მიხედვით აბსოლუტურად ყველა იუნკერი არის დაინტერესებული მოცემული მოდულით.
საბჭოს წევრმა, თეონა მატარაძემ დააზუსტა შემოწმდა თუ არა ექსპერტების მიერ აკადემიური პერსონალის სამეცნიერო აქტიურობა.
ექსპერტმა განმარტა, რომ თავად აკადემიურ პერსონალს აქვს აქტივობები ბოლო 5 წლის განმავლობაში. ასევე ინსტიტუციას აქვს გარკვეული ხელშეწყობა სამეცნიერო აქტივობის წახალისების მიზნით. ინტერვიუების განმავლობაში ასევე გამოიკვეთა, რომ აკადემიურ პერსონალს შეთავაზებული აქვს სამეცნიერო მხარდაჭერის მექანიზმები.
სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 19:25

დასრულების დრო: 19:55

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემიის „სახელმწიფო რესურსების მართვის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 15

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლი ს პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ,,სახელმწიფო რესურსების მართვის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 4 წლის ვადით, 1 წელში ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

საბჭოს გადაწყვეტილებით კომპონენტების შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან განისაზღვრა შემდეგნაირად:

მე-4 სტანდარტი, 4.3 კომპონენტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან განისაზღვრა როგორ „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ხოლო 5.1 კომპონენტი ნაცვად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან განისაზღვრა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და ჩამოაყალიბა შემდეგი რედაქტირებით:

1. მნიშვნელოვანია გადაიხედოს სწავლის შედეგი - „პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული ჩამოთვლის ეკონომიკის მოქმედების პრინციპებსა და ეროვნულ უსაფრთხოებაზე მათი ზეგავლენის მექანიზმებს“ და ფორმულირდეს სამაგისტრო საფეხურის სწავლის შედეგების შესაბამისად რადგან კვალიფიკაციების ეროვნული ჩარჩო მე-7 დონის სწავლის შედეგად არ ითვალისწინებს "ჩამოთვლას".

2. პროგრამაზე ჩარიცხვის პროცესში, შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის და/ან გასაუბრების ეტაპზე, წინასწარ განსაზღვრულ თემებს დაემატოს საჯარო მმართველობისა და საჯარო პოლიტიკის საკითხები.

3. ძირითად სასწავლო კურსში „სახელმწიფო მოწყობა და ეროვნული უსაფრთხოება“ დაემატოს საჯარო მმართველობის კანონმდებლობის მარეგულირებელი საკითხების განხილვა.

4. კურსში „დაგეგმვა, პროგრამირება, ბიუჯეტირება და აღსრულება“, ძირითადი ლიტერატურის გამოცემის წლების მითითება

5. კურსი „სახელმწიფო მოწყობა და ეროვნული უსაფრთხოება“ რუსულენოვანი წყაროების მიხედვით რიდერის შემუშავება ან მათი ჩანაცვლება ქართული ან ინგლისურენოვანი თარგმანით.

6. კურსებში „სისტემის ეფექტიანობის შეფასება და აუდიტი“ და „ინდუსტრიული ეკონომიკა“ ძირითადი ლიტერატურის შედარებით ახალი გამოცემების გამოყენება.

7. რეკომენდირებულია პროგრამაში გაძლიერდეს საჯარო სექტორში სტარტეგიული მენეჯმენტის და სტრატეგიული ლიდერობის საკითხების სწავლება.
8. სასწავლო კურსებს „აკადემიური წერა“ და „კვლევის მეთოდები“ გასწორდეს გადაფარვა, ხოლო კვლევის მეთოდების კურსში გათვალისწინებულ იქნას რაოდენობრივ მონაცემთა ანალიზის სწავლება.
9. მიზანშეწონილია რიგ სასწავლო კურსებში მომზადებულ იქნას ქართულენოვანი ლიტერატურა/რიდერები.

10. სასწავლო კურსის „აკადემიური წერის“ სილაბუსებში შეფასების რუბრიკები შესაბამისობაში მოვიდეს კურსის შეფასების სისტემასთან.
11. გასწორდეს სასწავლო კურსის „ეროვნული უსაფრთხოების ეკონომიკის“ შეფასების სისტემა, რათა კურსი ფასდებოდეს 100 ქულით.

12. სასწავლო კურსს „საჯარო ფინანსებში“ დეტალური კრიტერიუმების მიხედვით შემუშავდეს შულედური და დასკვნითი გამოცდების რუბრიკები.
13. გასწორდეს სამაგისტრო ნაშრომის მომზადების, გაფორმების, წარდგენის და დაცვის ინსტრუქციასა და სილაბუსში მითითებული სამაგისტრო ნაშრომის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი (45%) და ის შესაბამისობაში მოვიდეს საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის №3 ბრძანებასთან, რათა 100 ქულიდან ნაშრომის ზღვარი შეადგენდეს 51 ქულას (51%) და სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსშიც შეფასების კომპონენტების ნაწილში გადაიხედოს მინიმალური ქულების ზღვრული ოდენობა.
14. რეკომენდებულია, პროგრამაში საჯარო მმართველობის/მენეჯმენტის დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პერსონალის ჩართვა, რათა სამაგისტრო ნაშრომის მომზადების პროცესში სტუდენტები უზრუნველყოფილნი იყვნენ მისანიჭებელი კვალიფიკაციის მქონე ხელმძღვანელისა და თანახელმძღვანელის მხარდაჭერით.
15. რეკომენდირებულია პროგრამის მდგარდობის მიზნით გაძლიერდეს აკადემიური პერსონალი საჯარო მართველობის/მენეჯმენტის
16. რეკომენდირებულია გაძლიერდეს შიდა ხარისხის მონიტორინგის მექანიზმები პროგრამის განვითარების უზრუნველსაყოფად.

რჩევებში

1. პროგრამაზე ჩარიცხვის ერთ-ერთ ეტაპად განისაზღვროს შიდასაუნივერსიტეტო გამოცდა გასაუბრებასთან ერთად. რომელიც გამოავლენს კანდიდატის ცოდნას საჯარო მმართველობისა და საჯარო პოლიტიკის მიმართულებით.
2. მოწვეული პერსონალის მეტი ინტეგრირება პროგრამის შემუშავების პროცესში, მათი ეფექტური თანამშრომლობის უზრუნველყოფა აფილირებულ აკადეიურ პერსონალთან (შესაბამისი საგნების თემატური კლასტერების მიხედვით), სილაბუსების შექმნის დროს შეთანხმებული მუშაობის უზრუველყოფა, შესაძლო გადაფარვების ან მნიშვნელოვანი საკითხების გამორჩენის თავიდან ასაცილებლად.
3. კურსი „დაგეგმვა, პროგრამირება, ბიუჯეტირება და აღსრულება“, მეორე სემესტრის სავალდებულო კურსებიდან გადატანილ იქნას მესამე სემესტრში, მის წინაპირობად განსაზღვრული „სტრატეგიული ლიდერობის“ კურსის შემდეგ.
4. კურსებში „სახელმწიფო მოწყობა და ეროვნული უსაფრთხოება, „სტრატეგიული კომუნიკაცია“, „ინდუსტრიის ეკონომიკა“ ძირითადი ლიტერატურის რეალისტური მოცულობის მითითება
5. სასურველია აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის გაანგარიშებისას მხედველობაში მიიღებოდეს პერსონალის დატვირთვა ყველა იმ უსდ-ში, სადაც ის არის დასაქმებული.

6. სასურველია მოწვეული პერსონალის დატვირთვის სქემა ითვალისწინებდეს სალექციო დატვირთვის გარდა არსებულ ყველა შესაძლო აქტივობას.
7. სასურველია მეტი ხელშეწყობა საერთაშორისო პროექტებში, მათ შორის სამეცნიერო საგრანტო პროექტებში, პერსონალის მონაწილეობის გასაზრდელად.
8. მიზანშეწონილია ბიბლიოთეკის რესურსების სერვისების დახვეწა მომხმარებელთა ეფექტური მომსახურების უზრუნველსაყოფად.
9. სასურველია პროგრამის ბიუჯეტში სტუდენტების ხელშემწყობი ღონისძიებებისთვის გამოყოფილი თანხის გათვალისწინება.
10. სასურველია პერიოდულად მოხდეს პროგრამის დადარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
იმნაძე ნინო



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
მჭედლიშვილი დიანა

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
თავმჯდომარე
ზედგინიძე-ჯიშკარიანი ნათია

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს მდივანი
შენგელია მარიამ